

## მეფე ერეკლე და თეკლა ბიჭი

მშვიდი საღამო იყო, სიო უბერავდა . დაისი ახლახანს დაწყებულიყო. სასახლის ეზოში პატარა მაგიდის გარშემო მსხდარ მეფე-დედოფალს გარს პატარა ბავშვები დასტრიალებდნენ. ხან ერთი მიირბენდა მშობლებთან, ხან მეორე და ტკბილეულითა და ხილით იტკბობნენ პირს. მაგიდაზე ჩაით სავსე ფინჯნები, ბროწეულები, ნულლი და საშაქრე იდგა. ერეკლე მეორე, სიყვარულით სავსე თვალებით, შესცქეროდა თავისი შვილების ჟრიამულს. უცებ მეფეს ჩაეღიმა და თქვა:

-თეკლა ბიჭო, მოდი აქ, მამისა და დედის სიხარულო!

მაგიდას ერთი პატარა გოგო მიუახლოვდა. მამამ მას გაუღიმა, შუბლზე აკოცა, კალთაში ჩაისვა და გულზე მიიკრა. უთხრა:

-მამის გულის წამალო, გუშინ მსახურმა შენგან გამოგზავნილი კიდეც ერთი შენი ლექსი მომიტანა. ძალიან მეამა, რომ საჭიროდ ჩათვალე შენი გრძნობები ლექსის სახით ჩემთვისაც გაგეზიარებინა. ისიც, ისევე როგორც შენი წინა ლექსები, გასაოცარი და საინტერესოა. შენთვის ცალკე, მყუდრო ადგილი გამოვყე ჩვენს ეზოში, სადაც შეძლებ მშვიდად მუშაობას, როცა მუზა გეწვევა. შენს ლექსებს კი ჩემს ოთხში განსაკუთრებული ადგილი მივუჩინე. ძილის წინ შენი ერთი ლექსი მაინც რომ წავიკითხო, რაც არ უნდა მძიმე დღე მქონდეს, კარგად დამემინება. განა მეტი რაა საჭირო კაცის ბედნიერებისათვის? თან როგორი ლამაზი ხელნაწით დაგიწერია...

გახარებულმა თეკლამ უპასუხა:

-მამა, თუ თქვენ ჩემი ლექსები მოგწონთ, ამაზე მეტად სასახლარულო არაფერია. ესე იგი ამოდ არ გავრჯილვარ.

-აგერ ჩემო თეკლავ, პირი ჩაიმტკბარუნე, - უთხრა ერეკლე მეორემ თავის საამაყო ასულს და ნულლი ჩაუდო პირში,- ახლა გაიქეცი და გააგრძელე თამაში.

ასე იკრიბებოდა ხოლმე დიდი ოჯახი სასახლის ეზოში საღამოობით.

ერეკლე მეორე, ქართლ-კახეთის მეფე, იმდროისთვის მთელი საქართველოს ერთადერთი იმედი იყო. მიუხედავად იმისა, რომ მას დიდი სახელმწიფოებრივი ტვირთი აწვა, ის მარტო მეფე როდი იყო? ის იყო მამა არაერთი შვილისა, რომელთაც სათანადო აღზრდა სჭირდებოდათ, რადგან ქვეყნის ბედი მომავალში სწორედ მათ ხელში უნდა ყოფილიყო. რაღა თქმა უნდა პატარა კახი ქვეყნის პირველი პირობის, დადლილობისა და ალბათ ბევრი უძილო ღამის მიუხედავად მაინც ახერხებდა თავის შვილებთან დროის გატარებას და უფრო მეტიც, იგი იმდენად კარგად იცნობდა თავის ასულ თეკლას, რომ მის ხელნაწერს სხვა ხელნაწერთა შორის მარტივად გამოარჩევდა.

როგორც ჩანს თეკლა ბატონიშვილს ძლიერ ჰყვარებია ტკბილეული. ეს გასაკვირი არც უნდა ყოფილიყო, ის ხომ სამეფო ოჯახში იზრდებოდა, სადაც ყველაფერი საუკეთესო ექნებოდა. მათ შორის , რა თქა უნდა, იქნებოდა ტკბილეულიც. ეს ერეკლე მეორემ კარგად იცოდა და უგზავნიდა ხოლმე თავის ასულს ბროწეულს, შაქარს და ნულლს, რაც მის ერთ-ერთ წერილში თეკლასადმი კარგად ჩანს.

ერეკლეს თავისი შვილისგან მიღებული წერილები ეამებოდა ხოლმე. თუმცა იგი თეკლას ერთხელ ნაწერის გამოც „საყვედურობს“ , რადგან იგი არაბულს წააგავდა და სიტყვების ამოკითხვა გაუჭირდა, ამიტომ ვერაფერი შეიტყო.

ერეკლე მეორის მიერ შვილისთვის მიწერილი წერიდილანვე ვიგებთ, რომ მეფე ძალიან ყურადღებიანი, თბილი და მოსიყვარულე მამა ყოფილა. იგი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა თავისი შვილების გატაცებებს და მათი დღის წესრიგით თითქმის ყოველდღე ინტერესდებოდა.

ერეკლე მეორეც ჩვეულებრივი ადამიანი იყო. მასაც ისევე ეფიქრებოდა საკუთარი შვილების მომავალი, როგორც სხვა მშობლებს. მნიშვნელობა ხომ არ აქვს ვინ ხარ, მდიდარი თუ ღარიბი, მეფე თუ გლეხკაცი, შვილი ყველასთვის შვილია და მამაც იმიტომ გქვია, რომ ვალდებული ხარ შვილის აღზრდასა და დაფრთხილებაში შენი წვლილი შეიტანო მიუხედავად ყველა გარემოებისა.

პატარა კახი სამაგალითო იყო არა მხოლოდ როგორ პიროვნება და მეფე, არამედ როგორც მამა. მე მეამაყება, რომ ვცხოვრობ იმ ქვეყანაში, სადაც სულ რაღაც სამი საუკუნის წინ ასეთი გენია დაიარებოდა და ერეკლე მეფის დიდი წვლილია იმაში, რომ მე მეამაყება ჩემი ქართველობა!

შ.პ.ს. „ხერხემი“. ქ. ახალციხის დამოუკიდებელი სკოლა „მზექა“. XI კლასის მოსწავლე -  
ნინო კიკაბიძე (15 წლის)